დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №46

2010 წლის 29 ოქტომბერი

ქ. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 5 მარტის №11 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, კიკვიძის ქ.№2) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე ზ. ფიროსმანაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელებას.
2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო აქტები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება და ეს დებულება.
3. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო.
4. სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბეჭედი თავისი დასახელებით.
5. სამსახური ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგეობის წინაშე, რომელსაც ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.
6. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
7. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №42.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ფუნქციებია:

1. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სოციალური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების ჩამოყალიბება, სოციალურად დაუცველი კონტინგენტის ერთიანი კომპიუტერული ბაზის ფორმირება, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამების მომზადება;

2. ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებებში მონაწილეობის ორგანიზება თვითმმართველი ორგანოებისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

3. თანამშომლობა სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და ტერიტორიულ ორგანოებში გამგეობის რწმუნებულებთან;

4. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ვეტერანებისა და იძულებით გადაადგილებული (დევნილი) პირების აღრიცხვა, სოციალური დახმარების პროგრამაში მათი ინტერესების გათვალისწინება და კანონით დადგენილი უფლებების რეალიზაცია;

5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის ორგანიზება;

6. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სოციალური დაცვის, დასაქმებისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;

7. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

8. კონტროლი ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მუნიციპალური პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაზე.

მუხლი 4. სამსახურის უფლებები

სამსახურს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით, მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია;

2. შეიმუშაოს წინადადებები და დასკვნები თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, თავის კომპეტენციაში შემავალი დაწესებულებების გახსნის, გაუქმებისა და რეორგანიზაციის შესახებ.

3. სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ჩაატაროს თათბირები და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები. მოამზადოს წინადადებები მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე დასყენებლად, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტებისა და ექსპერტების მოწვევის თაობაზე.

თავი II. სამსახურის ხელმძღვანელობა

მუხლი 5. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. სამსახურის უფროსი:

ა) უძღვება სამსახურის საქმიანობას და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პასუხს აგებს დაკისრებული ამოცანებსა და ფუნაციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის მოხელეებს შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

გ) გამგებელს წარუდგენს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად;

დ) გამგებელს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) ახორციელებს გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ვ) ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

3. სამსახურის უფროსის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

4. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე გამგებლის დავალებით.

თავი III. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

მუხლი 6. სამსახურის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოსა და შტატების დამტკიცების წესი

სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში განსაზღვრავს საკრებულო, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საშტატო ნუსხას გამგებლის წარდგინებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 8. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები

სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

1. წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები მათი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის თაობაზე;

2. მიიღონ მუშაობისათვის აუცილებელი კონსულტაციები;

3. ისარგებლონ მუშაობისათვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალებით;

4. დააყენონ საკითხი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

5. ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებითა და გარანტიებით.

მუხლი 9. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა მოვალეობები

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან:

1. ზუსტად შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციური მოვალეობანი;

2. დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელობის დავალებები;

3. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი;

4. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობისა და სამსახურის დებულებით, გამგებლის დავალებებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

თავი IV. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 10. დებულებაში ცვლილების შეტანა, სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა, სამსახურის რეორგანიზაცია და მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.